

## ტემპერატურის ცვლილების დინამიკა შავი ზღვის სანაპიროზე კლიმატის ცვლილების ფონზე

*ლამზირა ლაღიძე, ლია მაჭავარიანი, ნოდარ წივჭივაძე, გიორგი ბრეგვაძე, ნინო პაიჭაძე*

ელ-ფოსტა: [lamzira.laghidze@tsu.ge](mailto:lamzira.laghidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა კვლევებმა (საქართველოს II და III ეროვნული შეტყობინება 2009, 2016 წწ) გამოავლინა კლიმატის ცვლილების მიმართ მგრძობიარე რეგიონები, სადაც შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენს საქართველოში ერთ - ერთ ყველაზე მოწყვლად ეკოსისტემას, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებს საადაპტაციო ღონისძიებათა გატარებას.

კლიმატის ცვლილება ძირითადად დაკავშირებულია კლიმატური პარამეტრების ცვლილებებთან, მათ შორის მნიშვნელოვანია ჰაერის ტემპერატურის ცვლილებებია. კვლევისათვის გამოყენებულია ბათუმისა და ფოთის მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატური და გრაფიკული ანალიზი. მეტეოროლოგიური დაკვირვების მრავალწლიურ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასებული და გაანალიზებულია ტემპერატურის (1930-2010წწ) რეპრეზენტატიულობა კლიმატური პირობების და სეზონების განმავლობაში, სადაც აღინიშნა ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების ტენდენციები. კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები 80 წლიან პერიოდში (1930-2010წწ). ტემპერატურის მსვლელობისას, წრფივი აპროქსიმაციის ტრენდით (80 წლიან პერიოდში) ტემპერატურა გაიზარდა  $0.7^{\circ}\text{C}$  -ით. მაქსიმალური ტემპერატურა გაიზარდა  $3.29^{\circ}\text{C}$ - ით, ხოლო მინიმალური ტემპერატურა  $0.1^{\circ}\text{C}$  - ით. ყველა სეზონის განმავლობაში აღინიშნა ტემპერატურის გაზრდა. განსაკუთრებით ტემპერატურის გაზრდა აღინიშნა გაზაფხულის პერიოდში  $0.97^{\circ}\text{C}$ .

შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენს, სუბტროპიკული კლიმატითა და შესაბამისად მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსებით დაჯილდოებულ რეგიონს მრავალფეროვანი ეკოსისტემით, რომელსაც ტურიზმის და ეკონომიკის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, ამიტომ მნიშვნელოვანია კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის შეფასება აღნიშნულ რეგიონში.